## ერთიანი ეროვნული გამოცდების უცხოური ენის შეფასების სქემა

1-6 დავალებისთვის თითოეული სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით. თემის (Task 7) მაქსიმალური ქულაა 16. მთლიანი ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.

**Task 1:** 1.B 2.D 3.C 4.A 5.B 6.C 7.A 8.C

**Task 2:** 1.E 2.D 3.F 4.C 5.A 6.D 7.B 8.C

**Task 3:** 1.A 2.C 3.A 4.C 5.B 6.C 7.D 8.A

**Task 4:** 1.A 2.I 3.F 4.K 5.M 6.E 7.N 8.G 9.L 10.B 11.H 12.J

**Task 5:** 1.A 2.C 3.B 4.C 5.B 6.D 7.A 8.D 9.A 10.C 11.A 12.D

**Task 6:** 1.E 2.H 3.D 4.A 5.C 6.F

### თემის შეფასების სქემა (დავალება 7) ეროვნული გამოცდები / უცხოური ენები მაქსიმალური ქულა 16. ენობრივი სირთულის მოთხოვნის დონე - B1

| *ქულა* | როგორ პასუხობს ნაწერი მოცემულ დავალებას; არის თუ არა აზრი გადმოცემული თანმიმდევრულად. | როგორ არის დაცული გრამატიკულლექსიკური სიზუსტე. ასევე სიზუსტე მართლწერასა და პუნქტუაციაში. | *ქულა* |
|---|---|---|---|
| **8-7** | - ნაწერი ძალიან კარგია. იგი სრულყოფილად პასუხობს დავალებას.<br>- აზრი მკაფიოდ და გასაგებად არის გადმოცემული. გამყარებულია მაგალითებით და პირადი მოსაზრებებით.<br>- ერთი წინადადებიდან მეორეზე გადასვლა ლოგიკურია. | - გრამატიკული შეცდომების რაოდენობა 2-ს არ აღემატება. გამოყენებულია რთული წინადადებები და კონსტრუქციები.<br>- ლექსიკა მდიდარია.<br>- მართლწერასა და პუნქტუაციაში დაშვებული შეცდომები უმნიშვნელოა. | **8-7** |
| **6-5** | - ნაწერი კარგია, პასუხობს დავალებას, თუმცა ზოგ შემთხვევაში ზედმეტი ან, პირიქით, არასაკმარისი ინფორმაციაა მოცემული.<br>- აზრი ძირითადად კარგად არის გადმოცემული. ჩანს პირადი მოსაზრება და/ან მოყვანილია მაგალითი.<br>- ერთი წინადადებიდან მეორეზე გადასვლა ძირითადად ლოგიკურია, თუმცა ზოგ შემთხვევაში მკითხველს ყურადღების დაძაბვა უხდება. | - დაშვებულია 3-6 გრამატიკული შეცდომა, არასწორი სინტაქსური სტრუქტურების ჩათვლით, მაგრამ ეს ხელს არ უშლის ძირითადი აზრის გაგებას.<br>- ლექსიკა დავალებისა და მოთხოვნის შესატყვისია.<br>- მართლწერასა და პუნქტუაციაში დაშვებული შეცდომები ძირითადად ხელს არ უშლის აზრის გაგებას. | **6-5** |

| | | | |
|---|---|---|---|
| **4-3** | - ნაწერი საშუალო დონისაა. აზრი ძირითადად გასაგებია, თუმცა ზოგ შემთხვევაში აზრის მიყოლა ჭირს. ინფორმაცია ზოგადია, დებულებები მეორდება. წინადადებები ერთმანეთს ლოგიკურად ცუდად უკავშირდება. პირადი მოსაზრება მკაფიოდ არ ჩანს.<br>ან: ნაწერი 61-109 სიტყვაა, ან: ნაწერი მხოლოდ ნაწილობრივ პასუხობს დავალებას. | - დაშვებულია 7-11 გრამატიკული შეცდომა. გამოყენებულია მეტისმეტად მარტივი და/ან არასწორი სინტაქსური სტრუქტურები.<br>- ლექსიკა საკმაოდ მარტივი და შეზღუდულია.<br>- მართლწერასა და პუნქტუაციაში დაშვებულ შეცდომებს სისტემური ხასიათი აქვს, რაც, ზოგ შემთხვევაში, ხელს უშლის აზრის გაგებას. | **4-3** |
| **2-1** | - ნაწერი (ძალიან) სუსტია. ინფორმაცია ზოგადი და მწირია. აზრის გაგება, უმეტეს შემთხვევაში, შეუძლებელია.<br>ან: ნაწერი 60 სიტყვა ან ნაკლებია /დაწერილია რამდენიმე წინადადება.<br>ან: ზოგადი სახის დებულებები, რომლებიც კონკრეტულ თემას არ უკავშირდება, ხშირად მეორდება. | - დაშვებულია 11-ზე მეტი გრამატიკული შეცდომა. წინადადებები სტრუქტურულად გაუმართავია.<br>- ლექსიკა ძალზე მარტივი და შეუსაბამოა.<br>- მჟღავნდება მართლწერისა და პუნქტუაციის წესების სუსტი ცოდნა. | **2-1** |
| **0** | ფურცელი ცარიელია ან დაწერილია მხოლოდ ერთი წინადადება ან გადმოწერილია დავალების ინსტრუქცია.<br>ან: ნაწერი არ პასუხობს დავალებას. | დაწერილია რამდენიმე წინადადება, საიდანაც აზრის გამოტანა შეუძლებლია. შეცდომა დაშვებულია ყოველ წინადადებაში. | **0** |

*შენიშვნა:* პასუხების ფურცელზე გამოყოფილი ადგილის გარეთ დაწერილი ტექსტი არ სწორდება.